



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N18

ქ. მარნეული

20.11.2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭოიძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, რამიზ გულმამედოვი, რაფიკ მუსაევი, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რიჩარდ გიგანი,

არ ესწრებოდა: - ნიკოლოზ გოგოჭური, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ქამილ ალიევი.

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1.მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2.მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

3.სოციალური საკითხები

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს გააცნო „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს მუხლობრივად გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის პარამეტრები, როგორც შემოსულობების, ასევე ხარჯვით ნაწილში. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს წარმოუდგინა ის შენიშვნები, რომლებიც გამოიკვეთა საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას, რომელიც იყო საკმაოდ წარმომადგენლობითი და მასში საკრებულოს წევრების გარდა მონაწილეობას იღებდა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.ა.ი.პ.-ებისა და შ.პ.ს.-ების ხელმძღვანელები. აღინიშნა, რომ განხილვებზე გამოკვეთილი შენიშვნები, მ/წლის 25 ნოემბრამდე, გადაეგზავნება მარნეულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, რომლის შემდეგაც მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გავლა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დასამტკიცებლად, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რაფიკ მუსაევმა საკრებულოს წევრებს გააცნო იმ მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს და ვერ ჯდება მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურისათვის დამტკიცებულ სოციალურ პროგრამაში, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის ბიუროს სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი